

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

სარჩევი:

აუდიტორული დასკვნა -----	2
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური ანგარიშგება -----	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	9
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება -----	10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია -----	12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება და მსჯელობა -----	12
3. ფული და ფულადი ექვივალენტები -----	21
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----	22
5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები -----	22
6. ძირითადი საშუალებები -----	23
7. არამატერიალური აქტივი -----	24
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები -----	24
9. გადასახდელი გადასახადები -----	24
10. ამონაგები -----	25
11. საოპერაციო ხარჯები -----	25
12. არასაოპერაციო შემოსავლები -----	25
13. კურსთაშორის სხვაობა -----	26
14. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა -----	27
15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის -----	27
16. განუსაზღვრელი ვალდებულებები -----	28
17. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები -----	28

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

შპს „სუპერ ბეტონის“ დამფუძნებლებს

აუდიტორული დასკვნა

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ შპს „სუპერ ბეტონის“ აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, შესაბამისად ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს ჩატარებულ სალაროში არსებული ფულადი სახსრების გადათვლის პროცესს რის გამოც ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2021 წლის ბოლოს და 2021 წლის დასაწყისში არსებული სალაროს ნაშთის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად ასახული იყო 10,695 ლარი და 21,344 ლარის

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება

31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სალაროში არსებული ფულადი სახსრების 2021 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებსა და შესადრის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურადაა აღწერილი ჩვენს დასკვნაში, კერძოდ ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში“. ჩვენს დამოუკიდებლობის ვართ შპს „სუპერ ბეტონის“-გან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია, ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

აუდიტის ძირითად საკითხს წარმოადგენს პირობითი მოსაზრების აბზაცში აღწერილი საკითხები.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს ყურადღება მიაქციოთ ფინანსური ანგარიშგების დაუფარავი ზარალის ნაშთს, რაც შეადგენს 9,382,628 ლარს. კომპანია საქმიანობას ზედიზედ ასრულებს ზარალით. მისი ფუნქციონირება ხორციელდება არა საოპერაციო საქმიანობის შედეგად, არამედ დამფუძნებელთა მიერ ინვესტირების საფუძველზე. აღნიშნული მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს შპს „სუპერ ბეტონის“ უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე

პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა
ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება

31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს შპს „სუპერ ბეტონის“ ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, რომ ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასლების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად იმ შემთხვევაში მიიჩნევა თუ მოსალოდნელია, რომ გონივრულ ფარგლებში, ისინი ცალკ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომელიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ აუდიტის პროცესში პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე იმის რისკი, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა. რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას,

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება

31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარი განზრახვით არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება შპს „სუპერ ბეტონის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასების დასაბუთებას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენასთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „სუპერ ბეტონის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შესაძლებელია შპს „სუპერ ბეტონი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს. ასევე, ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს ინფორმაციას ვაწვდით, სხვასთან ერთად, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

ასევე მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და საკითხის შესახებ, რომელიც, გონივრულობის ფარგლებში, შესაძლებელია მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე ვაცნობთ შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და შესაბამისად, აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში თუ

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება

31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება, ან უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორულ დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება. რადგან მოსალოდნელია, რომ გონივრულ ფარგლებში, ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგი გადააჭარბებს ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

გარიგების პარტნიორი

აუდიტორი

ირაკლი მადრაძე

25.09.22წ

ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შესაძლებელია შპს „სუპერ ბეტონი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს. ასევე, ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს ინფორმაციას ვაწვდით, სხვასთან ერთად, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

ასევე მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და საკითხის შესახებ, რომელიც, გონივრულობის ფარგლებში, შესაძლებელია მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე ვაცნობთ შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და შესაბამისად, აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება, ან უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორულ დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება. რადგან მოსალოდნელია, რომ გონივრულ ფარგლებში, ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგი გადააჭარბებს ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

გარიგების პარტნიორი

აუდიტორი

ირაკლი მაღრაძე

25.09.22წ

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის
შპს „სუპერბეტონის“

ფინანსური ანგარიშგება 31.12.2021 წ დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	12/31/2021	12/31/2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,446,730	3,504,432
არამატერიალური აქტივები	8	57,089	31,788
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		3,503,819	3,536,220
მარაგები	4	105,487	79,719
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	353,877	378,254
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	1,531,586	1,964,550
საგადასახადო აქტივი	6	-	48,973
ჯამურად მოკლევადიანი აქტივები		1,990,950	2,471,495
სულ აქტივები		5,494,768	6,007,715
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
კაპიტალი		14,796,335	14,282,435
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		(9,382,628)	(8,346,495)
სულ კაპიტალი		5,413,707	5,935,940
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	67,911	28,967
საბიუჯეტო ვალდებულებები	10	13,151	42,809
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		81,062	71,776
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,494,768	6,007,715

დირექტორი: ნათიგ ჰუსეინოვი

ფინანსური მენეჯერი: ნათია იაძე

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება 31.12.2021წ დასრულებული წლისთვის

შენიშვნა	12/31/2021	12/31/2020
ამონაგები 11	1,804,002	1,681,766
სულ ამონაგები	1,804,002	1,681,766
გაცივებული საქონლის თვითღირებულება:	(800,237)	(679,615)
მარაგები პერიოდის დასაწყისში	79,719	1,681,766
შესყიდვების ხარჯები	(774,468)	667,391
მარაგები პერიოდის ბოლოს	105,487	79,719
საერთო მოგება	1,003,766	1,002,151
საოპერაციო ხარჯები 12	(1,346,316)	(1,276,175)
ცვეთის ხარჯი	(505,102)	(655,239)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,851,419)	(1,931,414)
არასაოპერაციო შემოსავალი 13	133,909	277,693
არასაოპერაციო ხარჯები 14	(265,680)	(6,039)
ფინანსური ხარჯი		
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	(131,771)	271,654
მოგება დაბეგვრამდე	(979,424)	(657,609)
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება (ზარალი)	(979,424)	(657,609)

დირექტორი: ნათიგ ჰუსეინოვი

ფინანსური მენეჯერი: ნათია იაპე

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
 31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 31.12.2021წ დასრულებული წლისთვის

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,282,435	(7,411,571)	6,870,864
კაპიტალის ზრდა			-
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	(657,609)	(657,609)
გადახდილი დივიდენდი			-
წინა პერიოდის კორექტირება		(277,315)	(277,315)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,282,435	(8,346,495)	5,935,940
კაპიტალის ზრდა		513,900	513,900
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	(979,424)	(979,424)
გადახდილი დივიდენდი			-
წინა პერიოდის კორექტირება	-	(56,709)	(56,709)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,282,435	(8,868,728)	5,413,707

დირექტორი: ნათიგ ჰუსეინოვი

ფინანსური მენეჯერი: ნათია იაძე

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 31.12.2021წ დასრულებული წლისთვის

	31.12.2021	12/31/2020
მოგება დაბეგრვამდე	(979,424)	(657,609)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	505,102	655,239
მოგების გადასახადი	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(474,322)	(2,370)
ცვლილებები მარაგში	(25,768)	(12,224)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	73,350	484,329
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	9,286	(67,423)
ცვლილებები სხვა აქტივებში	(11,790)	(277,315)
ცვლილებები სხვა ვალდებულებებში		
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(429,244)	124,997
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა	(454,376)	(3,898)
ფიქსირებული აქტივების რეალიზაცია		
არამატერიალური აქტივის შეძენა	(63,244)	(14,544)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(517,620)	(18,442)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი		

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

მიღებული პროცენტი		
კაპიტალის ზრდა	513,900	
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	513,900	-
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(432,964)	106,555
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,964,550	1,857,995
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,531,586	1,964,550

დირექტორი: ნათიგ ჰუსეინოვი

ფინანსური მენეჯერი: ნათია იაძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

31.12.2021 დასრულებული წლისთვის(ლარი)

ზოგადი ინფორმაცია

შპს „სუპერ ბეტონი“ (ს/კ 202357582) დაფუძნებულია 2006 წლის 4 ნოემბერს.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და ფილიალები.

კომპანიის იურიდიული მისამართია ძველი თბილისის რაიონი, ჩერქეზიშვილის ქ., №15 .

ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის N12.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ინერტული მასალების მოპოვება, ბეტონისა და ასფალტის წარმოება.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის 100% წილს ფლობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (SOCAR) (რეგისტრაციის ნომერი 1178017).

კომპანიის დირექტორია ნათიგ ჰუსეინოვი.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 14 796 335 ლარს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახული ერთეულამდე სიზუსტით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება და მსჯელობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის. წლიური

ფინანსური ანგარიშგება 31.12.2021 წ. დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3 446 730	3 504 432
არამატერიალური აქტივები	8	57 089	31 788
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		3 503 819	3 536 220
მარაგები	4	105 487	79 719
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	353 877	378 254
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	1 531 586	1 964 550
საგადასახადო აქტივი	6	-	48 973
ჯამურად მოკლევადიანი აქტივები		1 990 950	2 471 495
სულ აქტივები		5 494 768	6 007 715
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
კაპიტალი		14 796 335	14 282 435
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		(9 382 628)	(8 346 495)
სულ კაპიტალი		5 413 707	5 935 940
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	67 911	28 967
საბიუჯეტო ვალდებულებები	10	13 151	42 809
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		81 062	71 776
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5 494 768	6 007 715

დირექტორი: ნათიგ ჰუსეინოვი

ფინანსური მენეჯერი: ნათია იაბე

საერთო შემოსავლის ანგარიშები 31.12.2021 წელს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა				31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	11	1 804 002	1 681 766	1 804 002	1 681 766
სულ ამონაგები		1 804 002	1 681 766	1 804 002	1 681 766
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		800 237	679 615		
მაჩვენებელი ზეითონის დასაწყისში		79 719	67 495		
შესყიდვების ხარჯები		(774 468)	(667 391)		
მაჩვენებელი ზეითონის ბოლოს		105 487	79 719		
საერთო ზრდა		1 003 766	1 002 151		
სამზარეულო ხარჯები	12	(1 346 316)	(1 276 175)		
ცვლილება ამონაგებიდან		(505 102)	(655 239)		
სულ სამზარეულო ხარჯები		(1 851 419)	(1 931 414)		
არსაქონლის შემოსავალი	13	133 909	277 693		
არსაქონლის ხარჯები	14	(265 680)	(6 039)		
ფინანსური ხარჯი		-	-		
სულ არსაქონლის შემოსავალი/ზარალი		(131 771)	271 654		
შემოსავალი		(979 424)	(657 609)		
შემოსავლის გადასახადი		-	-		
შენიშვნა (ზარალი)		(979 424)	(657 609)		

დირექტორი: ნათი ჯიქიძე
ფინანსური მენეჯერი: ნათი იაბუ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშები 31.12.2021წ დასრულებული

წლისთვის

31.12.2021	31.12.2020	ბიუჯეტის დამატება:
(979 424)	(657 609)	გადახდა
505 102	655 239	გადახდა
-	-	გადახდა
(474 322)	(2 370)	გადახდა
(25 768)	(12 224)	გადახდა
73 350	484 329	გადახდა
9 286	(67 423)	გადახდა
(11 790)	(277 315)	გადახდა
(429 244)	124 997	გადახდა
(454 376)	(3 898)	გადახდა
(63 244)	(14 544)	გადახდა
(517 620)	(18 442)	გადახდა
513 900	-	გადახდა
513 900	-	გადახდა
513 900	-	გადახდა
(432 964)	106 555	გადახდა
1 964 550	1 857 995	გადახდა
1 531 586	1 964 550	გადახდა
1 964 550	1 964 550	გადახდა

დირექტორი: ნათი ჯიქია
ფინანსური მენეჯერი: ნათი იაშვილი



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 31.12.2021წ დასრულებული წლისთვის

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14 282 435	(7 411 571)	6 870 864
კაპიტალის ზრდა			-
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	(657 609)	(657 609)
გადახდილი დივიდენდი			-
წინა პერიოდის კორექტირება		(277 315)	(277 315)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14 282 435	(8 346 495)	5 935 940
კაპიტალის ზრდა		513 900	513 900
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	(979 424)	(979 424)
გადახდილი დივიდენდი			-
წინა პერიოდის კორექტირება	-	(56 709)	(56 709)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14 282 435	(8 868 728)	5 413 707

დირექტორი: ნათიგ ჰუსეინოვი

ფინანსური მენეჯერი: ნათია იაძე



ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ქვემოთაა განხილული.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსურ ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დამფუძნებლის ინვესტიცია. კომპანიის დამფუძნებლებს აქვთ სურვილი და პოტენციალი საქმიანობა განავითარონ. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

შეფასების საფუძველი :

1. სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზარზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით
2. სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და

ვალდებულებებისთვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით

3. სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები)

ქვემოთ მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც გამოყენებული იქნა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი ვალუტაა ეროვნული ვალუტა ლარი. შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ლარი, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში არსებული საზოგადოების ანგარიშებზე არსებული ნაშთებისგან.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;

ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

კომპანია ქონებას აღრიცხავს თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ კომპანიამომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია დაგროვილი ცვეთით, ან გაუფასურების ზარალით შემცირებული პირვანდელი თვითღირებულებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც სხვადასხვა სარგებლობის ვადა აქვთ, ისინი ცალ-ცალკე აღირიცხებიან, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

გრანტის სახით მიღებული, ნაჩუქარი ძირითადი საშუალებები აქტივად აღიარდება მათი რეალური ღირებულებით, რაც დასტურდება ქონების შემფასებლის ან აუდიტორის მიერ.

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება

31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მისი მოხდენისთანავე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნაშთის შემცირების მეთოდის საშუალებით. თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის გამოყენების დაწყების შემდეგ. ძირითადი საშუალების სასიცოცხლო პერიოდი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობა - 0,5 – 5%

მანქანა-დანადგარები - 5-20%

საოფისე აღჭურვილობა - 5-20%

ავეჯი და ინვენტარი - 5 -20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ აქტივის სასიცოცხლო პერიოდის მომსახურების ვადაში, ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება, რათა აისახოს მიმდინარე შეფასება აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ამ აქტივებისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება
- შესაძლებელია აქტივების ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება

მარაგი

მარაგი ასახულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია მარაგის და მომსახურების გაყიდვას ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში. შესაბამისად არ ხდება მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახორციელებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას და განსაზღვრავს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის მოგება-ზარალში აღიარება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის საგარეო ვალდებულებები წარმოიქმნება ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციებიდან. შესაბამისად არ ხდება ამ ვალდებულებებზე პროცენტის დარიცხვა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი თანხა, რომელიც ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას.

ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები, ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკების მიმდინარე საბაზრო პირობებით, შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მიგება-ზარალში.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ ჯგუფის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულებები აღემატება გამოშვებულ აქციათ ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

დივიდენდი

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებულებად , მათი გამოცხადების მომენტში, როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე, შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე

ამონაგების აღიარება

ამონაგები წარმოადგენს კომპანიის მიერ მიღებულ ან მისაღება ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

გრძელვადიანი აქტივის გაყიდვიდან მიღებული წმინდა მოგება (ზარალი) აღირიცხება ცალკე და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება არასაოპერაციო შემოსავლის (ხარჯის) სახით.

2018 წლის 1 იანვრიდან ფასს 15ით – „ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ დაწესდა ახალი მოთხოვნა ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით, რითაც ჩანაცვლდა ბასს-18 „ამონაგები“, ბასს 11-ს – „სამშენებლო კონტრაქტები“ და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებული სტანდარტები. ახალი სტანდარტი ასახავს კონტროლთან

დაკავშირებული რეალიზაციის მოდელს და განმარტებას იძლევა ისეთ დეტალებზე, რაც აქამდე სხვა ფასს-ებში არ იყო. მაგალითად, ბუღალტრულად როგორ უნდა აღირიცხოს მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლის დაბრუნების უფლებები, მომწოდებლების გამოსყიდული ოფციები და სხვა ოპერაციები.

ფასს 15- ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლის/მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ პრინციპზე დაფუძნებულ ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა მოდელთან ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
 - საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
 - ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
 - ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
 - შემოსავლის აღიარება, როდესაც(ან/თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს
- ფასს 15-ის მიხედვით საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოსავლის განმარტების ახალი მეთოდები.

ხარჯის აღიარება

ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ხარჯების ასახვა ხორციელდება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზანდ ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას. აღნიშნული ხორციელდება რისკების სათანადო ლიმიტის დაწესებით, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრით, რისკების დონის და ლიმიტის დაცვის რეგულარული მონიტორინგით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც ბალანსის შედგენის თარიღისთვის გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არცერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან, არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები რომლებიც გამოიცა და ძალაშია შესული 2018 წლის 1 იანვრიდან:

- IAS 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში აზუსტებს: მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციებს, ასევე ინვესტიციებს ერთობლივსაქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მქონე, საერთო ფონდების, ანსხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითოეული ზემოთმოხსენებული ინვესტიციათა ვადაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- IAS 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ, განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვამუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივებისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონების გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა.

ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე (გამოცემულია 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის (ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადო თვისებაზე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდი ფულზე დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე.

ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოშვებულია 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით - კომპანიები რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქვთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ - სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან დროებითი გამონაკლისის სახით შეეძლება არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ფასს-39-ზე.

კომპანიას არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორისაქტივების შეძენა/ გაყიდვა“ (გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია.

აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აყენებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9 - ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხავსთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია :

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა, საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანია საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრება და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითად თანხას და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9- ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია „ სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლებით “. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ბიზნეს მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოადგენს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც ძირითადი თანხების გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა ფასს 9 - ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არასაბაზროდ განკუთვნილის) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.**ფინანსური ვალდებულებები,ასევე ბასს-39-ის მიხედვით კლასიფიცირდება.თუმცა,არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში.ბასს-9 ითხოვს,რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნას სხვა სრულ შემოსავალში.თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების,შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამოს შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში.ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- **გაუფასურება.**ფასს-19 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების,გაზომვის „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“მოდელი,რაც ბასს-39 -ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა.მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს,ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე,რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ.სხვაგვარად რომ ვთქვათ აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.**შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას.ფასს-9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მდგომარეობას,ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში.კერძოდ,გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი,რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად,რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოიყენოთ.გარდა ამისა,ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა“ეკონომიკური ურთიერთობის“პრინციპით.ასევე,აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტული შეფასება.შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გამოხატულია ბასს-39-დან .სტანდარტის სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.ფასს-9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებისას შესაძლებელია,სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშის მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული,არამედ სხვადასხვა დროს. კომპანია აფასებს მომავალში ფასს-9-ის გამოყენების გამოვლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- **ფასს-16 იჯარა-** ჩანაცვლა არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებები.ბასს 17 ლიზინგი,IFRIC განსაზღვრით შეიცავს თუ არა იჯარას.SIC-15 საოპერაციო იჯარა-სტიმულირდება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება,რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ ორმაგ სააღრიცხვო

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება

31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხულ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთ ბალანსზე აღრიცხვული მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელი ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გაცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება. ე.ი იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

გ) ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის.

ზემოთხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	12/31/2021	12/31/2020
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	10,695	21,344
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	34,006	75,383
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,486,885	1,867,823
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	1,520,891	1,943,206
სულ	1,531,586	1,964,550

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება ანგარიშგების თარიღისთვის მათ სამართლიან ღირებულებას.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12/31/2021	12/31/2020
სავაჭრო მოთხოვნები	353,873	378,074
მოთხოვნა პერსონალის მიმართ	4	
გადახდილი ავანსი	-	180
სულ	353,877	378,254

შენიშვნა 5

მარაგები	12/31/2021	12/31/2020
ნედლეული და მასალები	22,789	17,567
დაუმთავრებელი წარმოება	35	35
მზა პროდუქცია	27,671	26,190
სხვა მარაგი	42,577	35,927
საწვავი	12,415	
სულ	105,487	79,719

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 6
საგადასახადო აქტივი

	12/31/2021	12/31/2020
საშემოსავლო გადასახადი	-	-
დღგ	-	-
მოსაკრებელი	-	-
სულ	-	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 7							
ძირითადი საშუალებები							
	მიწის ნაკვეთი	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტო და მოწყობილობა	სატრანსპორტული საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 31/12/2020	84,212	877,419	6,526,869	11,302	3,547,971	177,282	11,225,055
დანამატები		<u>20,965</u>	<u>311,247</u>		36253	85910.71	454,376
აქტივების ჩამოწერა			<u>(50,847)</u>				(50,847)
გადაფასება							0
ბალანსი 31/12/2021	84,212	898,384	6,787,268	11,302	3,584,224	263,193	11,628,583
<u>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</u>							
ბალანსი 31/12/2020	0	(223,659)	(5,065,812)	(8,649)	(2,312,639)	(109,865)	(7,720,623)
ცვეთა პერიოდისათვის		(33,733)	(212,564)	(568)	(251,795)	(13,417)	(512,078)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა			<u>50,847</u>				50,847
გადაფასება							
ბალანსი 31/12/2021	0	(257,393)	(5,227,529)	(9,216)	(2,564,434)	(123,281)	(8,181,853)
ბალანსი 31/12/2020	84,212	653,760	1,461,057	2,653	1,235,332	67,418	3,504,432
ბალანსი 31/12/2021	84,212	640,991	1,559,740	2,086	1,019,790	139,912	3,446,730
			-				

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 8 - არამატერიალური აქტივი

	ლიცენზია	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 31/12/2020	31,589	1,010	32,600
დანამატები	63,244		63,244
აქტივების ჩამოწერა	(31,589)		(31,589)
გადაფასება			-
ბალანსი 31/12/2021	63,244	1,010	64,254
აკუმულირებული ცვეთა			-
ბალანსი 31/12/2020	-	(811)	(811)
ცვეთა პერიოდისათვის	(6,324)	(30)	(6,354)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა			-
გადაფასება			-
ბალანსი 31/12/2021	(6,324)	(841)	(7,166)
წმინდა ღირებულება			-
ბალანსი 31/12/2020	31,589	199	31,788
ბალანსი 31/12/2021	56,920	169	57,089

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 9

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2021	12/31/2020
სავაჭრო ვალდებულებები	66,872	28,967
ვალდებულება საწამოს პერსონალის წინაშე		
საპენსიო	1,038	690
მიღებული ავანსები		
სულ	67,911	29,657

შენიშვნა 10

საგადასახადო ვალდებულებები

	12/31/2021	12/31/2020
საშემოსავლო გადასახადები	(1,571)	
დღგ	(20,644)	
ქონების გადასახადი	28,332	37,849
მიწის გადასახადი	8,540	4,270
მოგების გადასახადი		
სულ	13,151	42,119

შენიშვნა 11

ამონაგები

	12/31/2021	12/31/2020
საქონლის გაყიდვა	78,019	
ასფალტი		898746
ბეტონი	856,064	340850.86
ქვიშა	402,482	97727.45
ღორდი	75,429	260859.32
ტექნიკის გაქირავება	320,808	14932
ტრანსპორტირების		68650

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება

31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

მომსახურების

71200

სულ	1,804,002	1,681,766
-----	-----------	-----------

შენიშვნა 12

საოპერაციო ხარჯები

შრომის ანაზღაურება

ადმინისტრაციის

12/31/2021

12/31/2020

788,510

857,583

შრომის ანაზღაურება ფიზიკურ

პირებზე

77,915

27,532

რემონტი

60,674

76,961

ცვეთა და ამორტიზაცია

505,102

811,273

იჯარა

90,000

77,500

კომუნიკაციის ხარჯები

10,324

8,106

მივლინება

16,385

6,154

სხვა საერთო ხარჯი

302,508

სულ ხარჯები

1,851,419

1,865,109

შენიშვნა 13

არასაოპერაციო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავლები

12/31/2021

12/31/2020

8,297

სხვა შემოსავალი

58,135

67,897

კურსთაშორის სხვაობა

75,774

195,568

სულ არასაოპერაციო

შემოსავალი

133,909

271,762

შენიშვნა 14

კურსთაშორის სხვაობა

სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სულ

12/31/2021

12/31/2020

216,795

48,885

60,399

265,680

6,039

ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება

31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

კომპანიის ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: ფინანსური, საოპერაციო და სამართლებრივი. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკებს (მათ შორის საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანები არის კისზეზლუდვები სდადგენა და შემდგომი მისი უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციებისგან კუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციოდასამართლებრივი რისკების შესამცირებლად

დებიტორული დაბალიანები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდალურად , კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე , პორთფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებაზე და სხვა

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვრვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31-60 დღე	61-90დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივისთვის , თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს შემცირება გამყარებულია მტკიცებულებებით გაუფასურების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდში აღიარებული ზარალის უკან დაბრუნება მოგება ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა უკან დაბრუნების შემდგომ, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, კაპიტალის შევსების გრძელვადიანი ნაწილიდან, აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგად წარმოიქმება ფინანსური აქტივი. მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

ფინანსური აქტივები

ფული და ფულადი ექვივალენტები	1,531,586	1,964,550
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	353,877	378,254
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	1,885,462	2,342,804

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულების ვადის ანალიზი

	6 თვემდე	6-12 თვემდე	1-5 წელი	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				

ფინანსური აქტივები

ფული და ფულადი ექვივალენტები	2,091,334	1,964,550		4,055,884
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	330,605	221,498		552,103
სულ ფინანსური აქტივები	2,421,939	2,186,048	-	4,607,987
ფინანსური ვალდებულებები				-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	54,937	2,941		57,878
სულ ფინანსური ვალდებულებები	54,937	2,941	-	57,878
ლიკვიდობის პოზიცია	2,367,002	2,183,107	-	4,550,109

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცევის შედეგად აღემატება პოტენციურ საკრედიტო რისკს ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, არაარსებითია.

ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს საკმარისი ფინანსური რესურსის არარსებობას, რათა შესაბამის ვადაში მოხდეს სესხების გასტუმრება, სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა. კომპანია ინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები ყველა პერიოდში ხელმისაწვდომი იქნება, რათა მოხდეს ვალდებულებების შესრულება. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები ფაქტიურად არ გააჩნია, ან მინიმალური იქნება.

საბაზრო რისკი.

საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: 1) უცხოურ ვალუტებში, 2) პროცენტისა და აქტივებისა და ვალდებულებებში; 3) ლიკვიდურობის რისკით პროდუქტების მხრივ. ისინი ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს.

მენეჯმენტი განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება

31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვანსაბაზროცვლილებებს.

საანგარიშოპერიოდშიკომპანიას არგააჩნიაზართანდაკავშირებულიარსებითირისკები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. საანგარიშგებო პერიოდში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები არსებით გავლენას არ ახდენს ფინანსურ მდგომარეობაზე. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კომპანიასარ გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია მისი ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით, რადგან ხარჯები გაიწევა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში; შემოსავლები მიიღება ასევე ლარებში; საზოგადოებას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული არც ერთი ვალდებულება.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები :

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ლარი , უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტალური აქტივები/ვალდებულებები გადაყვანილია ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით

გაცვლითი კურსი	2021 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
		3,0976	3,5040

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საზოგადოების არ გააჩნია სესხი ან სხვა სახის ფინანსური ვალდებულება, რომელსაც ერიცხება პროცენტი.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების და ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული იმ საწარმოსთვის დაკავშირებული მხარედ, თუ ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს , ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საწარმოზე

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იგივე ჯგუფის წევრები, ერთ ერთი საწარმო არის მეორე მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო , ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მხარეს ერთობლივ საწარმოს

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ

დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არამხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას დაკავშირებულ პირებთან გარიგებები გაფორმებულია ქვჩვეულებრივ საქმედებების ფარგლებში დამოიცავს:

დაკავშირებული მხარეები

	12/31/2021	12/31/2020
მენეჯმენტის ხელფასი	304250	328900

განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლო განხილვები - 31.12.2021 წ მდგომარეობით საზოგადოება არმონაწილეობდა სასამართლო ან/და სხვა ტიპის დავებში.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები - საანგარიშო პერიოდში საზოგადოების აქტივები დაგირავებული ან/და შეზღუდული არ ყოფილა.

ფასს-ის პირველადი გამოყენება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მისი პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბალანსის შედგენის თარიღის შედგენის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 22 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინასთან, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული კონფლიქტის ესკალაცია, ომი ჯერ კიდევ გრძელდება ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, ბევრმა ქვეყანამ დააწესა სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კომპანია არ აფასებს ამ რისკს მნიშვნელოვნად, ვინაიდან მის მფლობელებს ან მის კლიენტებს არანაირი კავშირი არ აქვთ არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა.

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება

31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

ფინანსური ანგარიშგება რომელიც დასრულებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ და ნებადართულია გამოსაშვებად 2022 წლის 28
სექტემბერს.

შპს „სუპერ ბეტონის“ ფინანსური ანგარიშგება
31.12.21 წ დასრულებული პერიოდისთვის

სარჩევი:

რისკს მნიშვნელოვნად , ვინაიდან მის მფლობელებს ან მის კლიენტებს არანაირი კავშირი არ აქვთ არც რუსეთთან და არც უკრაინასთან

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა საანგარიშო პერიოდის შემდგომ

ფინანსური ანგარიშგება რომელიც დასრულებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ და ნებადართულია გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი: ნათიგ ჰუსეინოვი

